ომარ თუშურაშვილი

(შსს არქივის მიერ გამოცემულ წიგნთა ნაწილის ჩამონათვალი და მოკლე ანოტაცია)



შსს არქივის მიერ საარქივო მასალებზე დაყრდნობით მომზადდა წიგნი-ცნობარი - „XX საუკუნის საქართველოს შინაგან საქმეთა და უშიშროების მინისტრები“. წიგნი მრავალფეროვანი და მეტწილად დღემდე უცნობი დოკუმენტური მასალის საფუძველზეა დაწერილი. დადგენილი და დოკუმენტურად დადასტურებულია ბევრი ისეთი ფაქტი და მოვლენა, რომელიც დღემდე არა თუ ფართო საზოგადოებისთვის, არამედ ისტორიკოსთათვისაც კი უცნობი იყო. მასში მოკლედ არის ასახული, თუ როგორ ყალიბდებოდა და ვითარდებოდა ქვეყნის სამართალდამცავი და უშიშროების ორგანოები, მოყოლებული დავით აღმაშენებლის დროიდან. ნაშრომის ძირითადი ნაწილი ეთმობა საქართველოს შინაგან საქმეთა და უშიშროების მინისტრების ბიოგრაფიებს, რომლებიც ამ სტრუქტურებს 1918-2000 წლებში ხელმძღვანელობდნენ. მკითხველი ასევე გაეცნობა ამიერკავკასიის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შინაგან საქმეთა და უშიშროების ორგანოების ხელმძღვანელებს. წიგნს თან ერთვის მდიდარი ფოტოილუსტრაცია.



ღონისძიების - ,,აღადგინე ისტორია არქივთან ერთად“- ფარგლებში მომზადდა სპეციალური საარქივო გამოცემა სახელწოდებით ,,არქივის კვალდაკვალ - ზესტაფონი“. მასში წარმოდგენილია მცირე ნაწილი იმ დოკუმენტებისა, რომლებიც ეხება ზესტაფონის რაიონს (შორაპნის მაზრას) და დაცულია შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში.

დოკუმენტების კრებული ღირებულია იმ პირთათვის, რომელთაც აინტერესებთ შორაპნის მაზრაში გასული საუკუნის განმავლობაში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენები: როგორ აღინიშნა დამოუკიდებლობის დღე - 26 მაისი გასაბჭოებიდან ერთი წლის თავზე, რა მონაწილეობა მიიღო შორაპნის მაზრამ 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში, რატომ დახვრიტეს ქუთათელი მიტროპოლიტი ნაზარი და როგორ იხურებოდა ეკლესია-მონასტრები, წარმოდგენილია ,,სოციალურად მავნე ელემენტების“ - გადასახლებულ თავად-აზნაურთა, 1937-38 წლებში რეპრესირებულთა, მეორე მსოფლიო ომში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა სიები, სპეც.ოპერაცია ,,Гроза“-ს (,,ელვა“) დროს ერთ ღამეში გადასახლებულ ზესტაფონელთა გვარ-სახელები...

მკითხველს საშუალება აქვს, გაეცნოს მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, პავლე ინგოროყვას ნაშრომის - ,,საქართველოს რაიონების“ იმ ნაწილს, რომელიც ზესტაფონს ეხება.





"საბჭოთა საქართველოს გასაიდუმლოებული ისტორია" შსს არქივის სპეციალური გამოცემაა,რომელიც სტატიების კრებულს წარმოადგენს. საზოგადოების ინტერესიდან გამომდინარე, გადავწყვიტეთ, ყველა ის წერილი, რომლებსაც განსაკუთრებული გამოხმაურება და მოწონება მოჰყვა, ერთ წიგნად შეგვეკრიბა და ამგვარი სახით მიგვეწოდებინა ერთგული მკითხველისთვის. აღნიშნული გამოცემა, ფაქტობრივად, საქართველოს უახლეს ისტორიას 1921-1989 წლებს ასახავს.

შსს არქივის წიგნში „თულნი“ ასახულია საბჭოთა ხელისუფლების ბრძოლა მე-20 საუკუნის 20-იან წლებში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოქმედი ბანდიტური და პოლიტიკური დაჯგუფებების წინააღმდეგ. გამოცემაში შიეტყობთ შაქრო მოსულიშვილის, ივანე კრაწაშვილის, თარასხან ეშბას, ვასილ კასრაძის, ევტიხი სიჭინავასა და სხვათა დაჯგუფებების შესახებ, რომლებიც შიშის ზარს სცემდნენ მოსახლეობასა და ხელისუფლებას. მათი საქმიანობა უფრო კრიმინოგენური ხასიათის გახლდათ, თუმცა ხშირად პოლიტიკური დაჯგუფებებსაც ეხმარებოდნენ. მათ შესახებ ცნობები 30-იან წლებში მოღვაწე სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ოპერრწმუნებულმა, ვინმე კირილენკომ შეკრიბა და დაამუშავა. რომელიც 40-იან წლებში შინსახკომის ბანდიტიზმთან ბრძოლის პირველი განყოფილების თანამშრომელმა, სახელმწიფო უშიშროების კაპიტანმა ოდიშარიამ შიდა უწყებრივი სახელმძღვანელოს სახით დაბეჭდა. ამჟამად წიგნად გთავაზობთ ამ დოკუმენტების კრებულის როგორც ქართულ, ისე რუსულ ვარიანტებს



9 აპრილი - მონოგრაფიაში შესულია საქართველოს სსრ უშიშროების კომიტეტისა და პარტიული არქივის ფონდებში დაცული მასალები, რომლებშიც დეტალურადაა აღწერილი 1989 წლის 9 აპრილს თბილისში განვითარებული ტრაგიკული მოვლენები, ასევე მაშინდელი ხელისუფლების მიერ თბილისიდან მოსკოვში და მოსკოვიდან თბილისში გაგზავნილი დაშიფრული დეპეშები, სსრკ პროკურორის, ნ. ს. ტრუბინის დასკვნა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის, ბიუროს სხდომის, საგაზეთო ფონდის მასალები და სხვ.

პროექტის - „აღადგინე ისტორია არქივთან ერთად“ - ფარგლებში მომზადდა გამოცემა - „არქივის კავლდაკვალ - მცხეთა მთიანეთი“. კრებულში შესულია შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული ის დოკუმენტური მასალა, რომელიც მცხეთა-მთიანეთის რეგიონის უახლეს ისტორიას ასახავს.

რეგიონული პროექტის - „აღადგინე ისტორია არქივთან ერთად“ - ფარგლებში მომზადდა სპეციალური საარქივო გამოცემა სახელწოდებით- „არქივის კვალდაკვალ - ზუგდიდი“.

კრებულში წარმოდგენილი საარქივო დოკუმენტები ზუგდიდის რაიონის (ზუგდიდის მაზრა) უახლეს ისტორიას ასახავს. შეიტყობთ თუ, როგორ აღინიშნა დამოუკიდებლობის დღე -26 მაისი გასაბჭოებიდან ერთი წლის თავზე, რა მონაწილეობა მიიღო ზუგდიდის მაზრამ 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში, როგორ იხურებოდა ეკლესია-მონასტრები, წარმოდგენილია „სოციალურად მავნე ელემენტების“ - გადასახლებულ თავად-აზნაურთა, 1937-38 წლებში რეპრესირებულთა, მეორე მსოფლიო ომში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა სიები, სპეც. ოპერაცია „Гроза“-ს („ელვა“) დროს ერთ ღამეში გადასახლებულ ზუგდიდელთა გვარ-სახელები...

წარმოდგენილია მასალები: სპირიდონ კედიას, მუშნი დადიანის სისხლის სამართლის საქმეებიდან.

გაეცნობით ზვიად გამსახურდიას დისიდენტური მოძრაობის ამსახველ დოკუმენტაციას, ასევე მასალებს - 60-იან წლებში ზუგდიდის რაიონში მოქმედი დისიდენტური ჯგუფების შესახებ და სხვ.

„საქართველოს ოკუპაცია, ბოლშევიკური ინტერპრეტაციები (1921)“ - კრებულში თავმოყრილია შსს არქივში დაცული, საქართველოს გასაბჭოების ამსახველი დოკუმენტური მასალა, რომელიც ძველი რევოლუციონერების, რუსი სამხედრო მოსამსახურეების მოგონებებისა და ჩანაწერების სახით არის წარმოდგენილი.

„ქართული დისიდენტური მოძრაობის ისტორია“ - მონოგრაფია ქართული დისიდენტური მოძრაობის ისტორიის შესახებ, რომელიც მომზადდა შსს არქივის მასალებსა და სამეცნიერო სტატიებზე დაყრდნობით და მოიცავს 1953 წლიდან 1989 წლამდე პერიოდს.

გამოცემა **„არქივის ქვალდაქვალ - ბათუმი“** აჭარის ა/რ მთავრობის საარქივო სამმართველოსთან ერთად მომზადდა.

ერთობლივ კრებულში ოცამდე ნაშრომია თავმოყრილი. დოკუმენტებზე დაყრდნობით მკითხველი შეიტყობს გასულ საუკუნეში აჭარის რეგიონში, კერძოდ კი ბათუმში განვითარებულ მოვლენებს, როგორ მოხდა აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება და რევოლუციური კომიტეტის შექმნა; როგორ და რა ნიშნით ასახლებდნენ თავადებსა და ბეგებს; როგორ ემზადებოდა ბათუმი 1924 წლის აჯანყებისთვის; როგორ გაუსწორდა საბჭოთა ხელისუფლება ეროვნული სულისკვეთებით აღტყინებულ მამულიშვილებს.
მკითხველი იხილავს დახვრეტილთა სიებს, დახვრეტის ოქმებსა და მეორე მსოფლიო ომში დაკარგულთა ჩამონათვალს.

„მშვიდობით, ძმებო, გვხვრეტენ ამაღამ!“ - 1923 წლის 19 მაისს, ამიერკავკასიის საგანგებო კომისიისა და საქართველოს საგანგებო კომისიის კოლეგიის გაფართოებულმა სხდომამ დახვრეტა მიუსაჯა „სამხედრო ცენტრის“ თხუთმეტ წევრს: გენერალ ალექსანდრე ანდრონიკაშვილს, გენერალ ვარდენ წულუკიძეს, პოლკოვნიკ გიორგი ხიმშიაშვილს, პოლკოვნიკ როსტომ მუსხელიშვილს, გენერალ კონსტანტინე აფხაზს, ნიკოლოზ ზანდუკელს, სიმონ ბაგრატიონ-მუხრანელს, ფარნაოზ ყარალაშვილს, იასონ კერესელიძეს, ივანე ქუთათელაძეს, სიმონ ჭიაბრიშვილს, პოლკოვნიკ ალექსანდრე მაჭავარიანს, პოლკოვნიკ ელიზბარ გულისაშვილს, ლევან კლიმიაშვილსა და დიმიტრი ჩრდილელს.
გამოცემაში გაერთიანებულია და საზოგადოების სამსჯავროზეა გამოტანილი ის მნიშვნელოვანი საარქივო დოკუმენტები, რომელიც ამ უკანასკნელთა სისხლის სამართლის საქმეებშია დაცული.

ორტომეული - **„ბოლშევიკური წესრიგი საქართველოში“** - ქართულ-გერმანული ერთობლივი კვლევითი პროექტი.
პირველ ტომში, დიდი ტერორის ისტორიოგრაფიაში პირველად, საქართველოს მაგალითზე გამოკვლეულია ბოლშევიკური ტერორის სპეციფიკა, შინსახკომის მიერ წარმოებული ოპერაცია („კულაკური“), „ნაციონალური ხაზის“ ოპერაციები და სოციალური წმენდა „მილიციის სამეული“).
მეორე ტომში გამოქვეყნებულია საქართველოში ჩატარებული დიდი ტერორის პერიოდის ამსახველი დოკუმენტები და ფოტოები.



წიგნში წარმოდგენილია დისიდენტური მოძრაობის მოკლე მიმოხილვა ჩეხოსლოვაკიასა და საქართველოში. კერძოდ, პირველ ნაწილში, იან კალოსისა და ადამ რადილეკის სტატიებშიაღწერილია ჩეხოსლოვაკიის მოსახლეობის მშვიდობიანი პროტესტი საბჭოთა ოკუპანტების მიმართ. იან კალოსის სტატიაში ,,ჩეხოსლოვაკია-ოკუპანტები 4:3“ გადმოცემულია საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ჰოკეის გუნდების შეხვედრა და ჩეხოსლოვაკიის მოსახლეობის რეაქცია სპორტულ წარმატებაზე. ადამ რადილეკის სტატიაში ,,ძალადობა სულიერებას არ ცვლის“ წარმოდგენილია ინტერვიუ ცნობილ ჩეხოსლოვაკელ დისიდენტ ჟდენა ტომინოვასთან, რომელშიც ეს უკანასკნელი დაწვრილებით იხსენებს ჩეხოსლოვაკურ დისიდენტურ მოძრაობაში შეტანილ წვლილს. მეორე ნაწილში, რომლის ავტორიც ვლადიმერ ლუარსაბიშვილია, წარმოდგენილია სამი თავი.მათში აღწერილია დისიდენტური მოძრაობის ისტორია საბჭოთა რუსეთში, ქართული დისიდენტური მოძრაობის მოკლე მიმოხილვა და დისიდენტ რევაზ ცინცაძის საქმე.